სამოქალაქო ცნობიერების ანალიზი

სოციო-კულტურულ ჭრილში

სალომე სოხაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ხელოვნების და მეცნიერების ფაკულტეტი: სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ილიას სახ. უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი**ანუკა კირვალიძე,**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო

წესების შესაბამისად.

სალომე, სოხაძე.

2015.

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომში „სამოქალქო ცნობიერების ანალიზი სოციო-კულტურულ ჭრილში“ ასახულია ის ფაქრტორები, რომელიც სამოქალაქო აქტივიზმის განვითარებაზე ახდენს გავლენას. ნაშრომის მიზანია გამოარკვიოს, თუ როგორია საზოგადოების შეხედულება და დამოკიდებულება სამთავრობო და არასამთავრობო ინსტიტუტებთან მიმართებში, რა მოლოდინები აქვთ მათ კონკრეტული აქტიობიდან და სამოქალაქო აქტივიზმის რომელი ფორმაა ყველაზე მეტად მისაღები მოქალაქეებისათვის.

ნაშრომისათვის საჭირო კვლევის მეთოდად შეირჩა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი,რომელიც აღებულ იქნა კავკასიის კვლევის რესურსების ცენტრის ონლაინ ანალიზის პროგრამიდან. კვლევის შედეგად ის ძირითადი პრობლემები გამოიკვეთა, რომელიც თავის მხრივ გავლენას ახდენას სამოქალაქო აქტივიზმის განვითარებაზე.

რაც შეეხება ნაშრომის სტრუქტურას, იგი შესავლის, საკითხის გარშემო ლიტერატურის მიმოხილვის, მონაცემთა ანალიზის და დასკვნისაგან შედგება. შესავალი ეხება თემის აქტუალობას და მნიშვნელობას. ლიტერატური მიმოხილვა ორ ნაწილადაა გაყოფილი: პირველი ნაწილი აღწერს მოქალაქეობის კონცეფციებს სოციალურ თეორიებში, ხოლო მეორე ნაწილში განხილულია სამოქალაქო საზოგადოება და სამოქალაქო აქტიობა საქართველოში. ანალიზსა და დასკვნაში კი ის შედეგებია მოცემული რომელიც კვლევიდან გამოვლინდა: მოქალაქეები თავს იკავებენ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სახის აქტიობებში, რის მიზეზადაც შეიძლება დასახელდეს, როგორც, სამთავრობო და არასამთავრობო ინსტიტუტებისადმი უნდობლობა, ისე მათ მიმართ სტერეოტიპული წარმოდგენები.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები:სამოქალაქო აქტივიზმი, მოქალაქე, აქტუალობა, კონცეფციები.